


31
1937.

51/50

No 31.

N 11 1937
503.

ბერძონი



ლიტერატურული მიმიწვის პაროდია (საქ. მუკის „მუშაობის წარსულიდან“).

საქ. მუკის ცენტრალურ საბჭოს ყოფილმა, ტროცკისტულმა გამგეობამ ან-
ტირელიგიურ პროპაგანდის წარმოების ხამეში სრული უმოქმედობა გამოიჩინა.

მებრძოლ ულმერთობის
საქართველოს კავშირის
გამგეობა ტროცკისტულ
ფრენით ეყო ნახშირი.

ბრძოლის ნაცვლად „მებრძოლოთ შრაბს“

ხელი გულზე ეფინა.

და „დათისტობლის“ ხატივით

ესვენა და ეჭინა.

„აგვაშენა“ ჩვენ მათმა

მიღწევებმა „მაღალმა“

და ვისურგოთ მათ პორტრეტს

ან წაბიძეს ახალმა.

„მე ვერ გეტყვი ვერასაო, ჰითხეთ ჩემს ცოლს ვერასაო“

ეროვნული
გიგანტები


გორელებისთვის სათაურიდანვე გასაგებია. დანარჩენმა მკითხველებმა უნდა იცოდნენ, რომ ეს სცენა და მისი მსგავსი სხვა მრავალი, ხდება გორის მთავრ ფოსტაში. რომანს რომ ვსწორდეთ, დავახასიათებდით ჩის მთავარ გმირს — საშა ჭუბაბრიას, არა იმიტომ, რომ ის მართლაც გმირია, არამედ იმიტომ, რომ ის ფოსტის უფროსია.

მაგრამ ეს საჭირო არ არის. თქვენ შევიძლიათ ჭუბაბრია წარმოიდგინოთ, როგორც ოჯახის და დაწესებულების პატრონი — ერთად. თუ სიცხეა, შევიძლათ ითიქროთ, რომ ჭუბაბრია ამთქნარებს და შეინაგს, ან ძილმორეულად უცემის ბუზებს და მათი ბზუილი ზურნის საარივით ჩაესმის ყურში.

— ბზე... ბზე... აი, დალა, დალა, დალააი-ი...

ერთის სიტყვით, თუ არ ყვინთავს, მაშინ ერთობა საშა ჭუბაბრია, ფუსფუსებს, მართავს აპარატს, წელში სწყდება, რომ საქმეებს თავი გაართვას, მაგრამ რაკი საქმეს ხშირად თავს ვერ უგებს, სამაგიეროდ, როგორც ცტყვიან, სიქს მაინც ართმევს მათ.

საშას ჰყავს „შეფი“, მზრუნველი და საქმეთვ „თავის გამრთმევი“. ეს მისი მეუღლე ვერაა. სულქვეშ რომ გსთქვათ, ვერაა ოჯახის თავიც და ფოსტის უფროსიც. მართალია სახელი საშასია, მაგრამ სახარავი მაინც ვერას ეკუთვნის.



რა თქმა უნდა, თქვენ ისე არ უნდა გაიგოთ, თითქოს ვერას შეართლაც ისეთი ქბილები ჰქონდეს, რომ იგი ხრავდეს მაგალითად, ფოსტის ავტომანქანას, სრულებითაც არა. მართალია, მანქანა მთლიანად ვერას. განკარგულებაშია, მაგრამ მას მხოლოდ თავის სურვილისა და ოჯახის საჭიროების მიხედვით დააქროლებს ხან აღმა, ხან დალმა.

ამაზე გორში ხშირად ამბობენ:

ნეტავ ფოსტის მანქანაო
ვერამ სად გააქანაო?

ახირებული ხალხია. სად უნდა გააქანოს მაინც დამაინც? თუ ბაზირა მეჯვრისხევში გააქანებს, თუ არა და ცოტაა სასეირნო აღველები? გსთქვათ, ლიახვის პირა, ცხინვალის გზა, ლენინის პროპექტი, ან სოფელში, ახალი კიტრებისა და ხილის მოსატანად, განაცოტა რამ დასჭირდება ოჯახს?

კი მაგრამ მანქანა ხომ დაწესებულებისათ? — ამბობენ ჯიუტები.

— კი მაგრამ საშა ჭუბაბრიას ოჯახი და მისი მეთაურობით მოშუავე ფოსტა ხომ გაერთიანებულია და მისი შეფიც ვერაა?

სწორედ ამით ხელმძღვანელობს ხოლმე საშა ჭუბაბრია თავის პასუხში, როგორ მას ფოსტის რომელიმე მუშაკი მიმართავს და სოხოვს მანქანაში ერთი ადგილი დაუთმოს საქმეზე მიმავალს:

შე ვერ გეტყვით ვერასაო,
ჰითხეთ ჩემს ცოლს ვერასაო...

როცა ვერას მიმართავენ, ის „განუმარტავს“ ხოლმე, რომ მანქანა მას სტირლების საყიდლად. — ცხადია. — მაში როგორ უნდა მოიცეს გამგის ცოლი? უბრალო თანამშრომელს დაუთმოს? ნურას უკაცრავად...

ჭუბაბრიას ოჯახსა და ფოსტას შორის მჭიდრო კავშირის მომენტი რაღაში მდგომარეობს? — კითხულობენ.

ვიცით, ვიცით, გორელებს ალბათ იმის თქმა უნდათ, რომ ვარამ ფოსტის რაღიო-მიმღები ოჯახში გადაიტანა. მართალია, ეს აპარატი ფოსტას სჭირია ყოველ წუთს ინფორმაციის მისაღებარ, მაგრამ ვანა ვერას კი არ სჭირია კონცერტების მოსმენა? ხაშეს ფეხები ხომ არა აქვს რომ ვაიცეცის? საქმე მოიცის, ფოსტაში, ააკონცერტი კი... არა, აბა იმას ვინ გაუმტყუნებს ჭუბაბრიას? რაღაში ხომ კულტურის ნიშანია, კაცს კულტურა შეაქვს ოჯაზე.

— კი, მაგრამ, ინფორმაციას რაღა უყოთო? — კითხულობენ ფოსტის მუშაკები.

— რა და კაი ლხინი, — როცა მიმღები მოცულის, შაშინ კულტურისა საჯახში შეიძლება საფოსტო ინფორმაციის მიღებაც.

— მარვო, მიღებე ინფორმაცია, — ეტყვის ვერა, ფოსტის ტექნიკურს, რომელიც სამსახურის მაგიერ ჭუბაბრიას ოჯახში მუშაობს ან თუ მარგო, გსთქვათ, სამზარეულოშია და არ სცალიან, მაშინ ჭუბაბრიას პატარა ბავშვები იქ არიან?

— ალიკო, გოგია, გოუშვით ხაზი, ტელეგრამებისათვის — დაუკავშირებს ვერა ბავშვების. ისინიც ატრიალებენ რაღიოს გამოსათხოვა და იწყება ხან დეპეშების გადაცემა, ხან სიმღერა, ხან „ტანგოს“ საცეკვაო მუსიკა.

მხარეულად ხდება გადაცემა. იქ კი ბუზლუნობები, გინდა თუ არა, ფოსტაში, მშრალად საქმიანად უნდა ხდებოდეს ეს ზადაცემა. მესამე მომენტიონ? — ამბობს კიდევ ვილაცა.

ესეც ვიცით: ლაპარაკი იმ საბეჭდ მანქანაზეა, რომელიც ფოსტას ეკუთვნის, მაგრამ ჭუბაბრიას სასალილო თოახში კი დასახურება დაწესებულების ქალალდები. მერე რა უყოთ, რომ ბევრი ქალალი საიდუმლოა და მას ხან სტუმრები უკარანახებენ და კითხულობენ, ხან ვერას ბავშვები და შემდეგ მეზობლის გოგო-ბრძების იმეორებენ.

ეს, გეთაყვათ, იმით აიხსნება, რომ იმ ენაჭარტალა ბავშვების ბევრი ლაქობა უყვართ. დატუშეთ და დაწესებულების ქალალდების შინაარსს ქუჩას ალარ მოსდებენ. მაში სხვანარად როგორ მოიცეცის საშა? მრავალი კაცი შეთავსებით მუშაობს, და რაღა მაინც და მაინც ვერამ არ უნდა შეათავსოს ოჯახის საქმეები და მემაქანეობა, კაი ჯაშაგირი არ უნდა?

ახლა მეოთხე მომენტი წამოასკუპება:

— რათ მოახსევინა ვერამ შოთერიონ?

იმიტომ, რომ ვერას ბაზარში ეჩქარებოდა, შოთერმა კი დროობები მიართვა მანქანა.


— მეორე თანამშრომელი რაღათ დაათხოვნინა?

იმიტომ, რომ ვერას ოჯახურ სამუშაოში არ დაეხმარა, თუ ეს ვერა შეთავსებით ფოსტას ებმარება, განა. ფოსტის თანამშრომელს არ შეეძლო შეთავსებინა დაწესებულების და უფროსის ოჯახის სამუშაო?

აკი ვამბობთ, ახირებული ხალხი ყოფილა ამ გორში. საშა ჰებაბრიას იმასც კი უძრახავნენ, რატომ ცოლის ნება-სურვილშე გადასვეული ფოსტის მუშაობაო, რატომ თუთიყუშივით გაძარას:

მე ვერ გეტყვით ვერასაო,
ჰითხეთ ჩემს ცოლს ვერასაო.

მაგრამ რაკი ჰებაბრიას ჭერება საკოხი, ჩვენის აზრით, კვლებ ამ ჩაითხოვხებზე ჩემ უნდა ვკითხოთ არც თვით ჭუბაბრიას, არც ვარა, არავედ სულ სუვა ორგანოს. აი მაშინ ვნახოთ პასუხიც.



— ახირებული ხალხი! თვითონ მთელი პოლუსი დაიბყრეს და ჩვენ კი დაბყრობითი პოლიტიკის წინააღმდეგ გვიქიფინებენ.

კ ლ 3 ა

ნებართა

ბერლინი. გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ნეირტმა პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ბექს ნება დართოთ შეიკეროს ახალი საცვალი რუმინეთში დიპლომატიურ მოლაპარაკების საწარ-მოებლად გამგზავრების წინ.

უებარი ჭამალი

იქიდანვე. გერმანიის პროპაგანდის მინისტრს — ჰებელს უკანა-ძნელ დორს გულის ფრიალი დასხემდა. მაჯისცემა 126 აღწევს.

ავადმყოფობის მიზეზად ასახელებენ საბჭოთა კავშირის გმირების მიერ ამერიკაში ძირისაუშევებლად გადაფრენის და ჩრდილო-ეთის პოლუსის დაბყრობის ამბებს.

ავადმყოფს ექიმებმა დროებით აუკრძალეს საბჭოთა კავშირის შესახებ მიღებულ ცნობების კითხვა.

საგადლოგალი პარაკლისი

რომი. პაპმა პიუს მე-XIII-მ ვატიკანის ტაძარში გადაიხადა სა-მადლობელი პარაკლისი ესპანეთის საქმეებში ჩაურევლობის კომი-ტეტის „მუშაობის“ ნაყოფიერ შედეგების გამო.

მამაშვილური „მზრუნველობა“

იქიდანვე. პიუს მეტამეტემ ვატიკანის ტაძარში საჯაროდ აკურ-თხა აჯანყებულ მუსლიმნების ბითუმიად სამოთხეში გადასახლების პროექტი.

გადარჩენილი

იქიდანვე. რომაელმა ფაშისტებმა დიდის ზემით იღლესასწაუ-ლეს გენერალ ტაციანის (იგივე გრაციანის) აბისინიდან მშვიდო-ბით დაბრუნება.



მხ. ნიანგო! თბილისის სადგურის მოლარეების ერთი „ჯგუფი“ ასტრიკად იბრძეს ხურდის დაბრუნების და სამგზავრო ბილეთების დაწესებულ ფასებში გაყიდვის წინააღმდეგ. მათ შორის დიდი „რაზმანის“ მქონე და „დამკვრელ“ ქაფისტად ცნობილი ვალიკო ზუ-ვარაძე კი მთელი საათობით სტოკებს სალაროს, რომ რიგში მდგომ მგზავრებს განერვიულების შემდეგ უფრო „ფართო მას-შტაბით აალკოს“. მაგრამ მის „მეთოდს“ აქვს ერთი ნაკლი: ის სეირნობის შემდეგ ბილეთების საკმაო რაოდენობით გაყიდვას ვე-

ლარ ასწრებს და თვითონაც ნაწილობრივ „ზარალში“ აჩება. რომ ვალიკოს მსგავსი „დამკვრელი“ მოლარეები „ზარალს“ ავაშოროთ და მგზავრებიც მატარებელს არ დარჩენ, ვიგზავნი ახალ გამოგონების პროექტს, რომლითაც თვითოულ ქაფისტობაში დაჭრილ მოლარეს შეიძლება დაენიშნოს თანაშემწედ თითო თუთიყუში. ეს დააჩქარებს ბილეთის გაყიდვას და მოსპობს ყოველგვარ გაუგებობას რც. გზის სახელგატებილ მოლარეებსა (ყველაზე არ ვლაპარაკობ) და „აბეზარ“ მგზავრთა შორის.

მედუზა

სცენა ჯუღარის ავთიაქში

მოქეიფენი შეიქრებიან ჯუღალის აფთიაქში:

პროვიზორი.. რა გნებავთ?

პირ. მოქალაქე: ჩეკი.. ლუ...დი...

პროვიზორი: თქვენ მისამართი შეეშალით, აქ აფთიაქია და არა ლულხანა.

მეორე მოქ.: არა... ლულხანა... აბა, რა არის. გაუ... გებრობა... ჭიჭიკო... შენ ერ... გესმის... ლულხანა... (პროვიზორს) მაგარი სასმელები... არ... არის... (ასლოკინებს).

პროვიზორი: დიახ... აქ აფთიაქია და გთხოვთ მიბრძანდეთ.

პირ. მოქ.: შენ... გვერ... ან... ჩეკი... ფფფული... არა... გვაქვს? ლუ-ტუშა! უჩვენე მაგას ფული...

პროვიზორი: მე თქვენი ფული არ მინდა, მე გთხოვთ მიბრძანდეთ. სირცევილია, მთვრალები შემოვარდოთ აფთიაქში და აწუხებთ ყველას.

მეორე მოქ.: ჩენ... არა... ფე... რი... არ... ვიცით... მოგვეცით რამე... საუზმე... გესმის... საუზმე...

პროვიზორი: მე არაფერი არა მაქვს გარდა პირამიდონისა და საფალარათო ზეთისა...

პირ. მოქ.: დი... დე... ბუ... ლია... მშვე... ნი... ერია... აბა... ორი პორტი... პი... რა... მონი... თავისი... მწვანილით...

მეორე მოქ.: ზეთით, სალათით.

პირ. მოქ.: მხოლოდ... ამხანაგო... ბლობად დასხით ზეთი... გესმით: ბლობად!

კლიმენტი

ნიანზის „მისარავაშა“

ა. პ. რკ. გზის თბილისის სადგურის უფროსის თანამემზეს კონსტ. იოსელიანს.



შარეი. ა. კანდეჭავის იურიანი

ჩვენი რედაქციის კოლექტივმა, აღფრთოვანებულმა თქვენი განსაკუთრებული, იშვიათი, ან თუ შეიძლება ითქვას, ფენომენალური დამსახურებით, გადასწყვეტა მოგმართოთ თქვენ განსაკუთრებული „მოსასალმებელი“ ბარათით.

გართალია, თვითონ ნიანგი და ჩვენი რედაქციის მუშაკები მოკლებული არიან პირადათ თქვენი ნაცნობობის ბედნიერებას, მართალია ჩვენთვის უცნობია თქვენი წარსული მუშაობა, თანამედროვე საქმიანობა, სამსახურის სტაჟი და პირადი ხასიათი, მაგრამ ერთი შემთხვევა, რომელმაც ნათელჲყო თქვენი პირადი თვისება, საქმარისია იმისათვის, რომ ქვეყანას მოეფინოს სახელი თქვენი და როგორც უთვალავი ფურცლები გამარჯვებული ანტიური გმირის დათნის გვირგვინისა, ყველას თვალწინ გაიფინოს წამლები გულისა, მომტაცებული სულისა, დამათრობელი გონებისა და აღმძვრელი სააშური ოწებისა, მომხიბლავი და მომგვრელი სიამისა, სანდომიანი პორტრეტი თქვენი.

დღადია წინაშე ქვეყნისა დამსახურება თქვენი! თქვენ გაბედეთ აშკარად დაცვა საბჭოთა მოქალაქეს საპატიო სახელის ლაფში ამომსვრელი მოქმედებისა; გაბედეთ აშკარად დაცვა ქურდობისა, მზაკვრობისა და მავნებლობისა. გაბედეთ აშკარად, საქვეყნოდ, შეუბოვრად და „გმირულად“, „გაბედეთ პირადად ნიანგის წინაშე. როდესაც თქვენთან მოვიდა მოქალაქე აღჭურვილი თქვენი საღურის ერთერთი სამუშაო უბნის მუშაკის ქურდობის და მავნებლურ საქმიანობის დამამტკიცებელ ფაქტებით და თავაზიანად გოთხვეთ ცნობა მისი კინაობის გამოსარჩვევად, თუ ვინ მუშაობდა დასახელებულ უბანზე ბოროტმოქმედების ჩადენის დროს.

თქვენ, გაიგეთ რა წინაშარ, რა ბრალდების გამო აპირებდნენ თქვენი სადგურის ულირის მუშაკის გამორჩევას, დასმულ კითხვაზე პირდაპირი პასუხის გაცემის ნაცვლად, ცოფმორეული „გმირულად“ ამხედრდით თვით შემკითხველის წინააღმდეგ და ბრალდებელს ასეთი „ანტისახელმწიფო ბრივი“ შეკითხვის გამო დაპატიმრებით დაემუქრეთ.

ვაშა! ვაშა, კოწი-კონსტანტინევ!

ჭეშმარიტად, იშვიათი შემთხვევაა ქურდის და მავნებელი ტრანსპორტელის ასე აშკარად დაცვა!

მაგრამ თქვენ დაცვა არ იქმარეთ!

თქვენ, როგორც „გონიერი, უბადლო და სწორუბოვარი სტრატეგი“, თქვენ სადგურის ზოგიერთ „სასახლო“ მუშაკების „უმანკონ“ სახელის შებლალვის ყოველგვარ ცდისაგან „საბოლოოდ“ დაზვევის მიზნით, კონტრიერიშე გადახვედით.

იმავეთ „გმირული“ საქციელით!

იშვიათად წარმოსადგენია, თუნდაც გატეუამხიარულებული მოქალაქე, რომელმაც შესძლოს ასეთი გაბედული ტაქტიკის წარმოება ქურდობაში და მავნებლობაში დაჭერილ ხალხის მტერთა მიმართ.

ამიტომ ჩვენი რედაქციის კოლექტივი მოგესალმებათ და მოგილოცავთ თქვენ, არნახულ „გზირული“ მოქმედების გამმულავნებელს, რომელმაც, ვიმეორებთ, აშკარად, საქვეყნოდ, შეუპოვრად, გაბედულად გაილაშქრა მოქალაქის წინაშე, რომელიც შეეცადა თქვენი მეშვეობით თბილისის სადგურის ერთერთი უღირსი მუშაკის ვინაბის გამორჩევას. მოგრლოცავთ მთელის არსებით და ნიშნად ლირსეული „დამსახურებისა“ ვაქვეყნებოთ თქვენს პორტრეტს, რომ არ დაეკარგოს სახელი თქვენი ჩვენს მომავალ თაობას. უდავოა, რომ თქვენ „გამარჯვეთ“.



მკითხველებო, მგზავრებო და ტრანსპორტის მუშაკებო! მიულოცეთ ჩვენთან ერთად კონსტ. იოსელიანს ზეიმი „დამსახურებული გამარჯვებისა“.

მისალოცი ბარათების და დეპეშის გაგზავნა შეიძლება შემდეგი შესაბამისობის:

თბილისი. ა. პ. რკ. გზ. თბილისის სადგურის უფროხის თანაშემწეს კონსტანტინებინს.



ქარები ნინება



ქედის რაიონში (აჭარა) სრ. საშ. სკ. გამგემ ასლონ სტამბოლიშვილმა ორი ბაზეში მონათლა.

იმავე რაიონში სოფ. ხარაულას ალექ ორგ. მდივანი მამედ ბერიძე და იმვე სოფ. მასწავლებელი ანეტა ფირცხალაშვილი აღდით (ჯერის წერით) დაქორწილდნენ.

ბზიკი

შზიანი დილა გათენდა
რა საამური დარია,
ხოჯა ახმედი ბერიძეს
ჯამესკე მიუხარია.

მეჩეთში შედის ახმედი
ცისაკენ მიაქვს თვალები,
ლვოსისან მოელის მადლობას
რადგან „დარაზმა ძალები“.

მოხარულია ახმედი
ციდან მოცემულ ბედისა,
რადგან ლვოს კვალებები დარაზმა
„მოწინავენი“ ქედისა.



მეჩეთის გზაზე ლვოს ნებით
ალარ ამოვა ბალახი,
შემოსავალი ექნება
თან დაუმადლებს ალახი.

თუმც მუჟამედის მოციქულს
ვერვინ გაუწევს ტოლობას,
კონკურენტები მაინც ჰყავს
ეცილებიან მოლობას.

სტამბოლისშვილი ასლანი
ქედელ ბავშვების მწვრთნელი.

მაგრამ სჩანი იმას მწვრთნელობის
საქმენი შემოელია.

ალახს დაუღა მსახურად,
ბავშვი მონათლა წყვილია.
ჩვილთა მირონის მომღები
მის უკეთესი ტყვილია.

ვინ იშოვიდა ნათლიას
ქედაში იმისთანასა,
შვენოდა ხელში, როდესაც
ატრიალებდა დახასა.

ბავშთა წვრთნის ნაცვლად და-
პელდა
ბავშვების მონათვლაშია,
სწავლის მეთოდის სანაცვლოდ
ყურანი უდევს თავშია.

ეს ჩვენი გმირი ქედაში,
ათწლედის დირექტორია,
გადაუცხუნე ნიანგო,
სიუათზე შენი ტორია.

პედაგოგები სხვებიც გვყავს
მოლების დამქაშ-შეფები,
მაგრამ მათ, ჩვენ სხვა ბარათში
მოვიხსენიებთ „შექებით“.

აქ ერთი პედაგოგი გვყავს
ქალია კოხტა და უცხო.
იმის შესახებ მომინდა
ერთი ამბავი გაუწყო.

ანეტას ხმობენ სახელად,
ფირცხალაშვილის გვარადა.

კავკი ნიანგი ნიგზიანი, სამთხედის რაიონი

ჩენი საბჭოს მუშაობის
მომწონის სწორედ წესი, რიგი,
სანიმუშოდ მოუწყვია
ამა სოფლის გზა და ხიდი.
მაგრამ თავის შენობაზე,
მეტად ცუდი მას აქვს ქიბე,
განცხადებებს ჭოკით აწვდის
მოხუცია, თუ ფეხმძიმე.
თუ რვა თვეში თავმჯდომარე
საბჭომ სამი გამოცვალა
მიკვირს კიბის რაღაც ორ ძელს
რად დასჭირდა დიდი ძალა?

ჩიხუნდარიძე.

ბავშთა საწურონელად მოსულა
ამ ქვეყნის მთად და ბარადა.

ხარაულია, — სოფელი,
სადაც წრთვნის ბავშებს ანეტა,
გაგვიმიჯნურდა ბოლო დროს,
დღე შეიცვალა ღამეთა.

თავის მხრივ მამუდ ბერიძეც
კომევშირელია მდივანი,
ანეტას ეშიით, ჩამოღნა
გული გაუხდა მტკივანი.

და შეყვარებულ ბერიძეს
ქალმაც არ უთხრა ვარია.
გამოუძახეს მოლას და
გადაიწერეს ჯვარია.



შაჩბათი ასვა ორივეს
ვერცხლის ფინჯანით მოლამა
თან შესძახოდა: — „აშასუნ *)
ოქვენგვარმა კომსომოლამა“.

მამედ კოტკავშირს „ანათლებს“
ანეტა — მოწაფეებსა,,
ორივე ხოჯას უთენებს
სასიხარულო დღეებსა.

„მოწინავეა“ ორივე
ტრობამ დაკოლა გულები,
შელულუნებენ ერთმანეთს
ალახის მოციქულები.

შედუჭა.

*) იაშასუნ — დღიურისტელის, გუმარჯონის.

ე თ რ ა ღ ლ ფ ი ზ ა


ნახ. ლებეჭევისა
ბეჭიროვანი



1. ...ალლო! ალლო! ლაპარაკობს ბურგოსის სადგური!.. ლაპარაკობს ბურგოსის სადგური!.. ისმინეთ! ისმინეთ! ბილბაოსთან ჩვენი „შეტევები“ რესპუბლიკელთა წინააღმდეგ წარმატებით ვითარდება!..



2. ...ალლო! ალლო! ლაპარაკობს მ. ბაპანინი! ლაპარაკობს მ. ბაპანინი. ჩრდილოეთის პოლუსზე, ჩომელიც ჩვენ დავიყავეთ, დღეს ტემპერატურა + 1 გრადუსს აღწევს!



3. ...ალლო! ალლო! ლაპარაკობს მოსკოვი! ლაპარაკობს მოსკოვი! ძირსდაუშვებელი გადაფრენა მოსკოვი—ჩრდილოეთის პოლუსი—ამერიკის შეერთებული შტატები წარმატებით დამთავრებულია!..



4. ...ალლო! ალლო! ლაპარაკობს მოსკოვი! ლაპარაკობს მოსკოვი! საბჭოთა მფრინავების: გრომოვის, იუმაშევის და დანილინის მიერ დამყარებულია შორეულ ძირსდაუშვებელი ფრენის ახალი რეკორდი!..

კა ეხეავი ერთ-ერთ აღგილკომის თავაზონების საანგარიშო მოსენაგისა და მომსენაგლის მიმიკის ფარისხალების გესახებ

ნი. რუსეთის



კა ეხეავი... რომ გამოტყვლა აღგილკომის მოსენაგა
კულტურის შეკავა, —



2. ამინის და ას დაზიანება,
როგორც მურალაძე ურთებულია, —
კონეგები გაიხვდა უმოტებენ, —
თავდას სარის უწინ ძებნა.



4. შეკითხები ძლიერ ჩატარება
უცხაცების ჯარის ზღვი,
კონეგები კითხვა უმოტებენ,
გაუსენებ კავლავერი.



5. შეკითხები პატარების ძლიერება,
თა ვით თბილი წარადა და დაუდუღა საცოდად.



ე ი ა რ ვ ი 0

სასილის გარემო ავაჯოულის ფარისი
საგითხვლოზე

- მიმტკიც და დავანებით, „კონენისტი“.
- ჯარ ას მიგვიღოთ...
- გვიშანდეთ იყოს.
- გვიშანდეთ გვისის მინის ცოლის დამ მიყრინებ ინახოვდა.
- გვშ „რიანგა“ მისურით.
- ნიანგა „გრიგორ წილი“ გვეში, ხვალ შემოიჩინა, შეიძლება მოიტკინო.
- „ორენტინგის“ გვევა?
- ინტერირის ნიანგი იქტომებაში გვევება, ავერ რა დროისი, უმ კავ!
- ვაშ ჭირი მიმეურა; ბუშკინის რა გვევა?
- ბუშკინის არავერა, ჩერი ჩერი სკონის წარმატება გვევება, სხვისაგან ნიანგის რა ტერმინის გვევებაში!
- მე პატუანის დაწურილ გვევებებით.
- დაწერილუს? „ავაჯოულის ტრა“ გვევენდა და ქმ წილო ფიტამ.

ხაც.

ც ე ც ე რ ი ა რ ა ნ ი 0

კილო ვაცელება

სკოლის გამზე კოწევ წილილის გრაფიდ აღიად გრაფიდა სტატუსის (რევოლუციის რიცხვის) სკოლის რევოლუცია გვევ და ხარჯულირებული. მპატრიული გამ გამოყოფებულისამ შესაფრან ჯალდეს მიღლომ.

წია.

სასილის სადღესასწაული

ესერლიანთვარის (ხაშურის რიცხვის) კოლეგიური მიმის თავადლომანები და მიმეგორის სარეკონი გომისის დერიჩერის მიმის რეაბილიტაციის სარეკონი 3413 მანქანის ლეიტო.

ცი.

ვადასინი

ჰედე კავალისთ (ცერელის რიცხვის) სკოლის გაზარებული დამდებარებული მიულადებული სასილი და სასახლე მიულადებული გამელელურა კოლეგიურებული კამენების დამარტინის გამოიხილო.

ჩატ.

რაიონიკობა

გავარისმ, ლერნინს სახ, მია-ზარ დატებებულ რაიონში მოსინ ცალკედონ ცალკედონ ცალკედონ ბრტყელ ბრტყელ ბრტყელ გამიჩინა.

შადრილი.

ვ ი ნ ც ა ლ ი 0

სოლ მეტევანი (ცირა, რიცხვის კოლეგიური გრაფიდა გვევენდა გასტრუ წილის კოლეგიური მეტევანი ნიმუში).

კურ.



6. მოსინინებ... განისილება,

და შეგვება ასეზო ჩადა
იმსჯელება და კინში ვარება, — თვეენ ლავავა თავისებომარე.

ს ც ე ნ ა ს. ო რ გ მ ი ნ ი ვ ი ძ ი ს (ყ უ ფ. ჩ ა რ ა გ რ უ ლ ი) რ ა ი რ ნ ი ს ს რ ი ს. ნ ა ნ ი ს ს ა გ ა ნ ი ს მ ა ზ ა მ

(ტიკინების თეატრებისათვის)

ე რ მ ი ვ ე ბ ი ს
პ ი ბ ლ ი რ ა მ ი ს

(სცენა წარმოადგენს აბანოს ეზოს. სკამზე ზის მთავარი როლის შემსრულებელი აბანოს დირექტორი მიშა დეკანონიძე. მთვრალია. ლილინებს.)

შემოღის ჩასუქებული ლორი, თან მოსდევენ გოჭები, იხვი, ინდაური, და ქათმები).

მიშა: (ლილინებს)

როგორ ხარ ლორო, ჩემო ღრუტუნიავ,
ჩემო მაშკაჯან, კარგო. ქებულო;
აბანოს ხარჯზე ღალაბმოსხმულო,
აბანოს ხარჯზე გასუქებულო.

ლორი: ღრუტ... ღრუტ... ღრუტ...

გოჭი: (არაფერს ამბობს.) შეკუნტრუშდება, სამჯერ შემოუვლის პატრონს გარშემო და დედალოს ამოუდგება გვერდით.)

მამალი: ყიყლიყოვო...

მიშა: (მამალს) რა გინდა ჩემო მამალი?

ლორი: (მამლის მაგიერ) ღრუტ!... ღრუტ!...

მიშა: ღრუტ შენა და გალესილი დანა, შენ ვინ რას გეკითხება შე ლორის შვილო. (მამალს) რა გინდა ჩემო მამლაყინწავ?

ლორი: ღრუტ!... ღრუტ!... ღრუტ!...

მიშა: კაი ახლა, თვარა, ხუმრობის გარეშე, გამოგლადრე ყელი....

ქათამი: (ლორის აწყნარებს) კაი... კაი... კაი.

მიშა: მართლა შე ლორო, მთელი აბანოს ქონება შენ და შენს ამხანაგებს გადაგაგეთ და სიტყვასაც აღარ მიჯერებ? ღრუტ შენ და ზახრუმლა, რა იხესავით გამოჩერჩეტებულხარ...

იხვი: (გაბრაზებული) ვიტყვი... ვიტყვი... ვიტყვი.

მიშა: რას იტყვი ბიჭო, იმას რომ აბანოს ხარჯზე გინახავთ? მაი ყველამ კი იცის შე კაცო მარა, ნაცნობებია და რა უნდა მითხრან!

იხვი: ვიტყვი... ვიტყვი...

მიშა: წაი და სადაც გინდოდეს იქ თქვი...

(გამოჩერჩეტებული აბანოს კლიენტი)

ბატი: (იხეს) სსუ...

(ყველინი ჩუმდებიან. შემოდის კლიენტი).

კლიენტი: უკაცრავად, აქ გამგე რომელია?

მიშა: გამგე მე ვარ...

კლიენტი: უკაცრავად, მაგრამ აქ ექიმის გადაგვახდევინებს სამი მანეთი და ექიმი რომ არ გყავთ, რატომ გვახდევინებთ ფულს?!

მიშა: რაო, ავად ხარ თუ?

კლიენტი: არა, მაგრამ...

მიშა: აბა ექიმი რაიზა გინდა შე კაცო?!

კლ.: მე ფულის შესახებ გეკითხებოდით...

მიშა: ფული?.. რაგა, გჭირდება ფული თუ? მოგიკვდეს ჩემი თავი თუ არ გასესხო, მარა, ახლა რომ არ მაქვს!..

კლ.: ოთახის ფასა რვა მანეთი ყოფილა დაწესებული და 13 მან. რატომ გვახდევინებ?

მიშა: რვა მანეთი კავშირის წევრებისათვისაა...

კლ.: მეც კავშირის წევრი ვარ...

მიშა: საწევრო სრულად გაქვს გადახდილი?...

კლ.: დიახ...

მიშა: აღგილკომი თუ გადაარჩიეთ თქვენს დაწესებულებაში?..

კლ.: დიახ.

მიშა: კაი ბიჭი აირჩიეს თავმჯდომარედ?

კლ.: დიახ.

მიშა: აბა მალაფეც, კარგათ გქონიათ საქმე. (შემობრუნდება, ჯიბიდან სიმინდს ამოილებს, წვრილფეხებს გადაუყრის. წვრილფეხები სიმინდს დაესევიან, იხვს არ აჭმევენ).

იხვი: (გაბრაზებული) ვიტყვი... ვიტყვი...

მიშა: რას იტყვი შე კვდარძალლო, რას!... (სწვდება იხვს, თავს წააგლეჯს) წალი ახლა და თქვი თუ ვაჟკაცი ხარ...


(ფარდა)

გია.

ღ ი ღ ი ნ ი


ქუთაისში მოქეიფეთა ერთი ჯული
ყოველდღე აყრებს ქუჩებს ცნობილ
აბორგაძის ფირმის "არნით.

ქონდარი.



— დუდუკი და არლანო,
აბრილო და მაისო,

არ გეშვებით, შენი ვართ
კეკლუცი ქუთაისო.



— გუშინ საუცხოვოდ თამაშობდა ეს მსახიობი ამ სურათში და დღეს რა ღმერთი გაუწყრა არ ვიცი!

გ ა ც ვ რ ი თ

- გაიგე?
- ვერა.
- რას გეკითხები?
- არ ვიცი.
- მაშ რა უნდა გაგეგო?
- არც ეგ ვიცი...
- არც მე ვიცი, მაგრამ მაინც მიკვირს.
- რა გიკვირს?
- ალაზნის ველის საგურამოში გადატანა.
- ეგ ხომ ბოდვაა, ველს ვინ გადაიტანს?
- გადატანია ერთ ყმაწეილს.
- ვის?
- მოქალაქე ალასოვს.
- მაგას ვერ დავიჯერებ.
- ვერც მე დავიჯერებდი, მაგრამ გაზეთში სწერია.

— რომელში?

— „ვეჩერნი თბილისის“ 7 იუნისის ნო-
მერში სწერია:

„პატარა ილიას პირველი გალიმე-
ბიდან, მზიან ალაზნის ველზე, წიწა-
მურის გზის მისახვევამდე, სადაც...“

საღაც უკანასკნელად თვალი მოუვლია
ილია წავჭავაძეს — სიკვდილის წინ. აქ, მოქ.
ალასოვის სიტყვით არის:

„... პატარა, კრამიტით კოხტად
გადახურული სახლი — საგურამოში. აქ
მან (ილიამ) პირველად იხილა შუქა“. (?!)

ამჩინად, თუ ალასოვს ალაზნის ველს სა-
გურამოში არ გადაეტანინებთ, მაშინ უნდა
ფიგულისხმოთ, რომ ილია დაბადებულა ყვა-
რელში (ე. ი. ალაზნის ველზე), იქ გაზრი-

ლა, შემდეგ თბილისში გიმნაზია დაუმთავრე-
ბდა, მერე რუსეთს უნივერსიტეტი დაუსრუ-
ლებია, დაბრუნებულა საქართველოში, შეუ-
ქმნია შედევრები, ხოლო ამის შემდეგ საგუ-
რამოში რომ ჩასულა, იქ... პირველად უხი-
ლავს... შუქი...


— ჰუ, თუ ასეა, მაშინ ისევ ალაზნის ვე-
ლის საგურამოში გადატანა აჯობებს, თორებ
ილიას ამდენი ხნის განმავლობაში შუქის
უხილავად ვერ დავტოვებთ.

— კი, მაგრამ მაინც საოცარია, მთელი
ალაზნის ველის გადატანა როგორ უნდა მო-
ხერხდეს?

— ალბათ ამს. ალასოვშია იცის, როგორ
უნდა მოხერხდეს.

წკიბურტაძე

„კურადილილი“).



ქამელეონი, ეჭვსგარეშეა, ფერისცვალების გან-
საკუთრებული უნარით არის აღჭურვილი.

(ჩარლზ დარფინი, „ცხოველთა სიცოცხლე“).



მიერი ლეგულობას იმ გარემოს ელფერს, სადაც ის იმყოფება.



მაგონევევა ბრძინდის ახანოა



აბანო საერთოდ ფრიად სიმპატიური დაწესებულებაა. მაგრამ თუ გოგირდოვანი შაღრევნები მოჩუხუებენ, ეს ხომ პირდაპირ გაკეთებას უდრის.

ბეღნიერია აბანოს ტრესტი! სწორედ გოგირდოვან აბანოებს ფლობს იგი. ბეღნიერი არიან ტრესტის თანამშრომელებიც, რომლებიც ყოველგვარი რიგის გარეშე შედიან გოგირდის აბანოებში და რომელთაც თვით მექისებიც კი ვერ უბედავენ „ნა ჩაის“ გამორთევას.

ცხადია, ასეთ პირობებში კაცი ხშირად წავა იბანოში. მაგრამ რა უნდა ქნას უბრალო მომაკვდავმა, რომელსაც დაეინებით სურს გაზრდილი სანიტ-ჰიგიენური მოთხოვნილება დაცვმაყოფილოს?

— უნდა დაიბანოს მანაც, — იტყვით თქვენ.

— მაშ დავიბან, — აცხადებს მოქალაქე და მიდის აბანოში, რომ იმისთვის, რჩებოს, მაგრამ გადალახოს დაბრკოლება და იწვნის გოგირდის ცხელი წყალი.

სწორედ ასეთი შემთხვევა მოხდა ამა წლის 19 ივნისს ქ. თბილისში, როცა საბჭოთა თანამშრომელი იქნი (სახელსა და გვარს არ ვასახელებ მისივე სურვილის თანახმად), წავიდა აბანოში.

მაგრამ აბანოში რიგია: კი ნუ ეწყინება აბანოების ტრესტს. მაგრამ იგი ვერ აუდის მოქალაქეთა გაზრდილ ჰიგიენურ მოთხოვნილებებს. გოგირდის აბანოში შესვლა არქტიკასა და პოლუსზე წასვლა არ გეონოთ:

იქ ყველაფერი თქვენ გემსახურებათ: თვითმფრინავიც, რადიოც, შვერიერი კაბინებიც, გაკაფული ტრასაც. იქ კი, ჯერ აბანოში მისულამდე გზაზე შეიძლება ტრამვას ვაგონი გადაბრუნდეს ან ლიან-დაგიდან ასფალტზე გაისირნოს. ხოლო თითონ პანოს რიგში რომელიმე წინდაუხედავმა პირმა უსაყვარლესი მეჭიჭი გაგისრისოთ ან ირიოდე ნეკნი ჩაგიმტვრით.

მაგრამ მოქ. იქნი მაინც მიდის აბანოში. გავუშვათ, წავიდეს: ხალხი მართლაც მყინვარწვერზე აღის, გოგირდის აბანო რა უნდა იყოს?

ნომრის უქინლობის გამო იმ სალამოს მოქ. იქნა მხოლოდ რიგი დაიჭირა. დაიბარეს მეორე დღისთვის და მეათე აბანოში (ყოფ. მირზელევის) მეექენე ნომერი დაუნიშნეს.

მეორე დღეს, ე. ი. 19 ივნისს იქნი დანიშნულ საათზე მივიდა მეათე აბანოში და თავისი, მეექენე ნომერი მოითხოვა.

— თქვენი ნომერი დაკავებულია... მაგრამ მიბრძანდით მეშვიდე ნომერში, საუცხოვო ნომერია. — ურჩის მას.

იქნი დათანხმდა: ნომერს რა მნიშვნელობა აქვს: საქმე გოგირდის ცხელი წყალია.

იქნი შედის აბანოში. იქ შეიძლება ცოტახნით ფარდა დაიხუროს (აღამიანი საბანოდ ემზადება), მაგრამ ჭუჭრუტანიდან შეიძლება ასეთი სურათი დავინახოთ:

ბიბლიური ადამის კოსტუმში გამოწყობილი იქნი აუზისკენ მიღის და ონკანს ატრიალებს. ის ახლა წამოვა გოგირდოვანი წყალის შაღრევანი. მას ელოდებიან: საპონი „ტექ“, „მოჩალკა“ და თითონ მობანვე იქნი. მაგრამ, რატომ ივვიანებს ეს წყალი? იქნებ ონკანია უვარების? არა. ყველაფერი რიგზეა. ოლონდ წყალი არ არის. უწყლოდ დაბანა კი უხერხულია.

ხანგრძლივი ბრახუნი კარებზე. პაუზა. ისევ ბრახუნი. ისევ პაუზა. ეს იქნი აბრახუნებს წყალი გამოუშვითო, მაგრამ კაცი ხმას არ სცემს.


იქნი ისევ იცვამს და გამგის კანტორისაკენ მიდის. უხსნის მდგომარეობას. იქნი ამშვიდებენ, რომ წყალი მოვა. იქნი ბრუნდება თავის ნომერში.

იქნი ისევ „გაადამდა“ და ონკანს მიმართა.

წყალი მოდის, გოგირდოვანი წყალი. მაგრამ რა ხათაბალაა: აბანაში წყალი არ მატულობს. იქნი აბაზანის ფსკერს სინჯავს. რა-

შია საქმე? რაში და მილის საცავი „ცოტა“ მოშლილი ყოთილობის მთელ წყალს ატარებს. ერთი სიტყვით, ტექნიკური თურმინის გით, მილსაცავი „წყალგამტარუნარიანი“ აღმოჩნდა.

მობანავე იქნი ისევ აბრახუნებს, თან პეტრის გიდეც. აპრახუნოს რამდენიც ენებოს: მილსაცავი კია წყალგამტარი, მაგრამ ეს კარები ხმაურგაუმტარია, ხოლო აბანოს მუშავთა უურის მილი ხომ სულ დაკეტილია საცოდავი მრბანაცისათვის...



იქნი იძულებულია ისევ ჩაიცვას და გამგის კაბინეტს მიმართოს იქ მას კვლავ ამშვიდებენ, რომ ყველაფერი რიგზე იქნება და აქეთ ისევ ბრუნდება, რომ ჩვენც შეგვაწუხოს ფარდის ჩამოფარებით და ჭუჭრუტანაში ცქერით და თითონაც შეწუხდეს მესამეჯურ გასდოთ.

როცა აღარაფერი გამოდის, იქნა გაშმაგებით ეცემა შესპს, საადანაც ყინულივით ცივი წყალი მოჩხრიალებს.

შეიძლებოდა ამით გათავებულიყო და მობანვე ვარეთ გამოვანა. მაგრამ ჩვენ დაგვასწრეს აბანოს გამგებლ ტმ კარებზე აბრახუნებენ.

— მოქალაქევ, თქვენი ბანაობის ვადა გა

შემოღომის ფოთოლივით მშრალი იქნა დაც მას ზედმეტსაც ახდევინებენ. უვარებენ კაცს, რომელსაც ერთი წვეთი ცხელი წევას ახდევინებენ თავისი ჯარიმით!


ის, სადა ხარ საჭირო საჩივრო გრძნობას მაღამოსაცით მოეცხო! ვითარება წყალი ბეღურით ქობ ბანავეს.

მართლაც. სად არის საჩივრო აბანოს გამგებმაც და თორენი ნაკი, როგორც ასეთი იღ

ამას შემდეგ, ჩვენი პონა „ტექ“ მშრალ ლი იუთოულით ბრა-



1.—პირდაპირ ოქვენს ტანზეა შეკერელი: სრული და კარგი — ეუბნებოდა ნოქარი მას, როდესაც ხალათს და შარვალს ყიდულობდა.



2.—არა უშავს, შენ ხომ ტურიზმის მოყვარული ხარ. გამოდგება სამოგზაუროდ. — ეუბნებოდა მას ცოლი ამ ხალათის და შარვლის პირველი გარეცხვის შემდეგ.



3.—ამაზეც ნუ სწორა, ჰლვაზე გამოდგება. უთხრა ცოლმა მას ამავე ხალათის შარვლის მესამედ გარეცხვის შემდეგ.

ამბობან

ხობის რაიონში

არ არის გზებიო
ტალახში იხრჩობა
ხარ-კამეჩებიო.

საბჭოს თავმჯდომარეს
კა სძინავს ტკბილადა,
და სიზმარს საამურს
ხედავსო ხშირადა,

ხედავ, რომ სასწრაფოდ
დარსახმა ძალები,
ვეკეთა გზების ფრონტს
ძირით და ქალებით.

შეწრიაფე სტანციურად.
გაშალა ხელები
და უზარესობადო

თბილი.

თვალთმავაწური ღიღინი

მახარაძის რაისაგზაო განყოფილების გამგე გ. შეწირული ადგილობრივ გზებზე გათვალისწინებულ საცდელ სამუშაოების გამებს ვერ ასრულებს და ჩამორჩენის დაფარვას ფართე ურაზებით ცდილობს.

თუ სამუშაო შესრულდა
კარგი და ხარისხიანი,
იქ სულ არ არის საჭირო
ვაჟაცი ენაწყლიანი.

როცა არაფერს არა ქმნი,
სულ არ შეგტკივა გულია,
მაშინ გვირდება გმირობა
აზრებიც ძალზე ბრძნულია.

რომ ტკბილად ააჭიჭიყო
ენა ცეცხლმოკიდებული,
და დაამტკიცო, რომ შენ ხარ
ყველაფრის გამკეთებელი....

რაიაღმასქომს ამითი
მე ავუბნიერ თვალები,
ჩემ ენის წვერის ჭირიმე
მის ქლიტეს ვენაცვალები.

ხვიშტი.

ჩვენს უგზო რაიონს.
ვერ მოეკარები;
ტალახში იხრჩობა
კამეჩი, ხარები....

ჭოლოე.

რინაზი

ლანჩხუთის სად. მოლარე ლიდა ჩი
იძე სალაროში დაგვინებით ცხადდე
იმ მიზნით, რომ მატარებლის წალენ
შიშით განერვიცლებულ მგზავრებს პ
ლეოთში ზედმიტი ფასი გადაახდევინა

ნა.

რკინისგზის სადგურს ლანჩხუთში
მოლარე ყავს ლიდა,
ხერხიანი, ენამჭერი,
გამოწილი დიდად.

რომ შეხედავ, ფაქიზია,
მორცხვად თვალებს ნაბავს,
ბილეთების გაყიდვის დროს
ულმობელად ქაფავს.

ეწაფება ლიდა გულით
„შემოსავლის წყაროს“
და რეკორდი „ქაფის ხდაში“
უნდა დამყაროს.

ამ საქმეში ამ კოპშიას
არ ეტყობა დაღლა,
ტექნიკასაც ეუფლება
მიღის მაღლა, მაღლა.

ქაფავდა და კვალად ქაფავს
გაიდიდა დახლი,
აგარაკზე აიშენა
განაქაფით სახლი.

ნიანგოჯან, ინახულე
ლიდა რეკორდსმენი
და ჩანგალზე წამოაგე
ვით საქმილო ძღვენი.

ნა.

ქ ვ ა ლ დ ა ქ ვ ა ლ



ცა, მიწა და სადგურის უფროსი

ქუთაისის მეორე სადგურს უწევს რიგობას უსაყველურებელი. დარბაზში სკამები არ არის, ხშირად, არც სინათლეა, არც მგზავრებისადმი წესიერი მობყრობა.

სამაგიეროდ ნაგავი ხოჭოები, სიბნელე, ქურდობა და ხულიგნობის ფაქტები აუარებელია.

ნიანგკორის გადმოცემით კი სადგურის უფროსს ეს არ აწუხებს. მას თურმე:

არც აღგილობრივ, არც უცხო
მგზავრთა არა აქვს რიდია,
ცა თითქოს ხელში უჭირავს
და მიწა მხრებზე ჰყიდია.

ან ცარიელი, ან ანტისაბჭოთა თავი ამშვენებას

ნიანგკორი ქუხილი აბაშის რაიონიდან გვეკითხება:

— ჩვენი კონსტიტუციის თანახმად საბჭოთა კავშირის დროშა შეიტყოდა და სხვა ფერების არ შეიცავს. აბაშის რაიონის სოფ. წყების სასოფლო კედლის გაზეთის სათაურს კი „ამშვენებს“ დროშა, რომელიც წითელ ფერს გარდა შეიცავს ყვითელსა და შავ ფერს, რატომ?

— იმიტომ, რომ ალბათ გაზეთის სათაურის ასე „დამამშვენებელის“ მხრებს კონტრრევოლუციური თავი ამშვენებს. ჩვენი მოველით, რომ ამ უთავობის სათავე დაუჭირებლივ მოხვდება. ნახება და ვილაცას თავსაც საკადრისად მოხვდება.

საჭმის მეორე ნახევარი

დღუშეთის რაიონში სოფელი ბარისახოთა. ბარისახოში კოოპერატივი არსებობს, კოოპერატივის კი აქვს საქონელი და ჰყავს ნოქრები.

გამოდის, რომ ყველაფერი ისე ყოფილა, როგორც კოოპერატივში.

— არც მთლად ისე.

სხვა კოოპერატივებში არ იციან რას ნიშნავს კოოპმაღარიზი, ბარისახოში კი ეს დარჩი ჰყავის.

ბარისახოს კოოპგამგეობამ ნოქრები დააჯილდოვა.

ნოქრებმაც თავის მხრივ მაღარიზი გადაუხადეს გამგეობას, რაც 5480 მანეთად დაჯდა.

— მერე ამისათვის არავინ ჩაჯდა?

— არავინ.

— მაშ საქმის მეორე ნახევარი გასაკეთებელი ყოფილა.

ნახ. ა. კანდელაკიძა.

ახლო მოავლის გემთხევა



— შევცდი ჩვენი აღგილკომის არჩევაში, უველაზე პირველად მე მივეცი ხმა, მაგან კი უველაზე ბოლოს ჩამწერა ჩრდილოეთის პილუსზე მიმავალ ექსკურსიის სიაში!



ჩვენ რეინისგზის სამმართველოს
ღვაწლს ვერ დაგუფახებთ,
რადგან ხშირად მგზავრობის ღროს
სურათს ვხედავთ ასეთს.

რედაქტორის მიზე: ს. გარებოლაძე.

რედაქციის მისამართი: ჭორვილიშვილის ქ. № 5.

პოლიგრაფიკმშინატი: ქორქსის ქ. № 5.

მტავლიტის რწმუნებული № 33001. შეკვეთა № 899